ცნობის ფურცელი

№ 1849 ოთხშაბათი, 26 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1849

ფასი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პერდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

მაღაზია
ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—40)

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ტ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—8 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები — მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმაევის სახლი.

„წიგნების გამომცემელი ქუთათური ამხანაგობის“ გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, ამ წლის 30 ივნისს, დილის 11 საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია:

ა) წინა წლების ანგარიშების დამტკიცება; ბ) 1902 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა; გ) გამგეობის მოხსენება განსვენებულ გ. ე. წერეთელთან დადებულ პირობის შესახებ; დ) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის პირობის § 10-ს შეცვლის შესახებ; ე) გამგეობის, სარევიზიო და სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევა და ვ) ახალ წევრთა მიღება. (3—1)

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასისტენტი

ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—15)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგაინთა, საბავშვო და თვალის.

ბებია
ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—20)

ვექილი

მ. ა. ახნაზაროვი

გადავიდა

ნიკოლოზის ქუჩაზე, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე; კვირა დღეობით მარტო დილით 9—12 საათამდე. (3—3)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამოცე. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ვიზრუნოთ!

III*)

დიაღ, მამულები იყიდება აფხაზეთში, მაგრამ განსაკუთრებით შავის ზღვის პირად. მყიდველები ჯერ არა ჰყავსთ იმ მამულებს, რომელნიც ზღვიდან მოშორებით არიან. აქეთკენ ფულიანი ხალხი ჯერ არ ეტანება, ასე რომ მამულის ფასიც შედარებით აწეული არ არის. ჩვენ მოგახსენებთ იმ მამულების შესახებ, რომელნიც დალის ხეობაში მდებარეობს. აქ მამულის პატრონთ თითქმის არც კი უნახავსთ თავიანთი მამული. რომ უბოძებიათ, პლანი ჩაუბარებიათ და მორჩა. ასეთი მემამულენი, რომელთაც, სიშორისა გამო, ყური ვერ უგდიათ თავის განძისათვის, ადვილად გაყიდიან მამულებს და თან შეღავათიანის პირობითაც, ოღონდ მათის მამულის შეძენის მსურველი იპოვნონ. განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება ქართველ მემამულეებთან საქმის დაჭერა.

მაგრამ გლეხს, თავის თავის ამარა დარჩენილს, სამწუხაროდ, აქამდე ვერა გაუკეთებია—რა ამ მხრივ. საჭიროა წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი, საქმის გამაადვილებელი. სწორედ ამ უმწეოდ დარჩენილის გლეხის მისაშველებლად 1895 წელს ქ. სოხუმში ადგილობრივმა მოღვაწემ პატივცემულმა ანთ. ჯუღელმა წრეც კი დააარსა, რომელსაც საგნად ჰქონდა მამულების შესყიდვა და უმიწა-წყლო გლეხებისათვის მიყიდვა შეღავათიანის პირობით. წესდებაც კი შემუშავდა და საქმეს უნდა შესდგომოდნენ. ამდროს რუსულმა გაზეთმა „ნოვოე ვრემია“-მ ქვეყანა შეჰყარა, არიქათ, მეგრელები შემოესივნენ აფხაზეთს და აზრადა აქვთ, იქიდან სხვა ყველანი უნდა გამოაძევონო... მთელი გამოძიება დაინიშნა. თუმცა დარწმუნდნენ, რომ შეთქმულობა არა ყოფილა, ინიციატორი საზოგადოებისა არსებულ კანონთა თანახმად აპირებდა მოქმედებას, რომ მოყვასის სიყვარულისა და მისის დახმარების სურვილის მეტს სხვა მოსაზრებას ადგილი არა ჰქონდა, მაგრამ წესდების შემდგენელს მაინც ურჩიეს თავის ქერქში დატეულიყო, თუ არ სწადდა, უფრო დიდს უსიამოვნებას არ გადაჰკიდებოდა... ამ წრემ ის-ღა მოასწრო, რომ სოხუმშივე 7 დესეტინა მიწა შეიძინა 7,000 მანეთად და 19 სამოსახლოდ დაჰყო. ამ მამულის ნახევარი, სამოსახლოდ დაუყოფელი, დღეს 17,000 მანეთად ჰფასობს.

ეს ფაქტი აღვნიშნეთ, ერთის მხრით იმის მაჩვენებლად, რომ ერთობა ძალსა შეიქმს, შეერთებულის ძალით-ღა თუ შეგვიძლია რისამე გაკეთება; ხოლო მეორე მხრით, იმის დასამტკიცებლად, თუ ალაგობრივ რა ზომამდეა ერთ-ურთთ დამოკიდებულება გამწვავებული და რა ძნელია მუშაობა უმამულო მეგრელთა საკეთილდღეოდ, თუ როგორი დაბრკოლება მოელის საზოგადო მოღვაწეს. ძნელი-მეთქი; ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელიც გახლავთ სხვა-და-სხვა უკუღმართ პირობების წყალობით.

მაგრამ ამ გარემოებამ მაინც არ უნდა დაგვახევინოს უკან. რაც არ შეგვიძლია ალაგობრივ, აფხაზეთში, ის სხვაგან უნდა შევიძლოთ და რაც შეიძლება ჩქარა. რამდენსაც დავიგვიანებთ, იმდენად უფრო გავართულებთ პირობებს. დღეს რომ დესიატინა მიწის შეძენა ოთხ-ხუთ თუმნად შეგვიძლია, ხვალ იმავე დესეტინის ფასი შეიძლება ათ თუმნამდე ავიდეს. ამას გვიმტკიცებს ის ციებ-ცხელება, რომლიც არსებობს სოხუმის ოლქში მამულების შეძენის საქმეში.

ჩვენის აზრით, საჭიროა ქუთაისსა და ტფილისში დავიარსოთ კომიტეტები, მსგავსად იმ კომიტეტისა, რომელიც უკვე არსებობს ტფილისში და რომელსაც აზრად მხოლოდ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა დახმარება აქვს. ტფილისის კომიტეტი ზრუნავს ხელი მოუმართოს უკვე მიწა-მოპოებულ გლეხთ! ჩვენებურს კომიტეტს კი მთავარ საზრუნავად უნდა ექმნეს გამოძებნა თავისუფალ მიწებისა და ბანკისა და სხვა საშუალებით მათი გადაცემა უმამულო გლეხთათვის. ამ საახალშენო კომიტეტს ხელს ისე ადვილად ვერავინ წამოჰკრავს, მისს სიტყვას გასავალი ექმნება მთავრობის წინაშე და შესაძლებელია ისიც კი მოახერხოს, რომ მთავრობასა სთხოვოს იმ სახელმწიფო ადგილებზე (მთა-გორიანებზე), სადაც რუსები დასახლებას გაურბიან, ჩვენის ქვეყნის მთა-გორიან ადგილების უმამულო გლეხნი დაასახლონ. ამ კომიტეტს ადვილად შეუძლიან თავისი აგენტები გაიჩინოს, რომელნიც სხვა-და-სხვა ცნობების მოწოდებით, საქმეს გააადვილებენ და ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ. ამგვარ აგენტების შოვნა მით უფრო ადვილია, რომ, ღვთით, ჩვენს პროვინციებში შეგნებულთა და ჩვენის ხალხის გულშემატკივართა რიცხვმა იმატა. ოღონდ ეს საშვილი-შვილო საქმე დავიწყოთ; ოღონდ ამდენის ხნის გასაკეთებელი ახლა მაინც გავაკეთოთ; ოღონდ ამდენის ხნის უსაქმობა ვიკმაროთ. მარტო გაზეთებში წუწუნით ფონს ვერ გავალთ, სიტყვას საქმეც დავურთოთ, რომ ხალხი შეგვრჩეს და უმამულობით არ გადაშენდეს...

ხალხის გადაშენების ხსენებაზე. ამ გადაშენებას ხელს ისე არა უწყობს-რა, როგორც უმამულობა, საჭმელ-სასმელის ნაკლებულება. მაგრამ ამ მხრივ ჩვენს ერს მეორე საქმეცა აქვს თავში საცემი და სავალალო. მოგეხსენებათ, ჩვენის ქვეყნის ზომიერის ჰავის გამო ჩვენი ხალხი უცხოეთის ჰავას ვერ უძლებს, თუ ეს ჰავა მის სამშობლოისას არ ემსგავსება. აიღეთ, ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტებში მიდის სასწავლებლად. ნახევარი მათგანი იხოცება რუსეთის მკაცრ ჰავის წყალობით. ესე იგი, გვაკლდება საუკეთესო ნაწილი, ჩვენი იმედი. თითქო ეს ცოტა ყოფილიყოს, ამ უკანასკნელ ხანში, ჩვენებურ ჯარის კაცებიც იძულებულნი არიან თავიანთს მიწა-წყალს მოშორდნენ და რუსეთის შიდა-გუბერნიებში იხადონ სამხედრო ბეგარა. პატივცემულმა იაკ. გოგებაშვილმა ფრიად საინტერესო ფაქტი აღნიშნა უცხოეთის ჰავის გავლენისა ჩვენს ჯარის კაცებზე: მიუხედავად ერთგვარის ზრუნვისა და მოვლისა, ჩვენებურს ჯარისკაცებს საშინლად ეშლებათ ნერვები და მათს დასუსტებულს აგებულებას მკბენარები იჯაბნებენ, იმ დროს როცა თვით რუსეთის მკვიდრთ ვერაფერს აკლებენ ეს პარაზიტებიო. მარტო ეს რომ იყოს, ვინ რას იტყოდა, ამ ჭირს ადვილად გავუძლებთ, მაგრამ სამწუხარო ის გახლავსთ, რომ ჩვენებური ჯარის კაცები, თითქო ჭირი დაერიაო, ისე ადვილად ხდებიან ავად, ისე იჯაბნებს მათს აგებულებას სნეულება, რომ ასიდან თუ სამოცი არა, ორმოცდა-ათი აღარ გვიბრუნდება სახლში. ვსთქვათ ყოველ წელიწადში ორივსავ გუბერნიიდან 7,000 ახალგაზდა კაცი გაიყვანეს ჯარის-კაცად. თუ მათგან წელიწადში ნახევარიც არ დაგვიბრუნდა უკან, თქვენს მტერს ჩვენ დღე დაგვიდგეს მოკლე ხნის განმავლობაში. ვერავითარი უმამულობა იმდენს ზიანს ვერ მოგვიტანს, ვერავითარი სიღარიბე ისე ვერ შეამცირებს ჩვენს ისედაც მცირე რიცხვს, როგორც ეს სამხედრო ბეგარა. ვიზრუნოთ იმისთვის, რომ გლეხს საჭმელი ჰქონდეს, მაგრამ არა ნაკლებ უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ჯერ კაცი უნდა გვყავდეს, ვისთვისაც საზრდოს ვეძებთ.

ამ შემთხვევაში კი ჩვენმა ორისავ გუბერნიის თავად-აზნაურობამ უნდა ამოიღოს ხმა.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1848.

მან უნდა შეკრიბოს ყოველი ცნობები, რაც რუსეთში მოსამსახურე ჩვენებურ ჯარის-კაცების ყოფას შეეხება, და მთავრობის წინაშე შესაფერისი შუამდგომლობა აღძრას.

თ. ზ.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ფინანსთა მინისტრმა რუვიემ 13 ივნისს სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში და ითხოვა 173 მილიონი ფრანკი წარსული წლის დეფიციტის დასაფარავად. პალატამ თითქმის ერთხმად გადასწყვიტა ეს კითხვა და მიანიჭა ნათხოვნი კრედიტი, მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველა პარტიები კმაყოფილნი დარჩენილიყვნენ რუვიეს სიტყვით.

რეაქციონერებმა, რასაკვირველია, ისარგებლეს შემთხვევით, და ერთხელ კიდევ გამოილაშქრეს წარსულ სამინისტროს წინააღმდეგ. მონარხისტი დეპუტატი რეილი ცდილობდა ეს დეფიციტი თავზე მოეხვია წარსულ სამინისტროში ფინანსთა მინისტრად ნამყოფ კაიოსთვის, რომელიც „არა თუ უხეიროდ მოქმედებდა, ქვეყანაც კი მოატყუა, დეფიციტი 65 მილიონს არ აღემატებაო. საფრანგეთი არ დაივიწყებს, რომ მას დაუმალეს ჭეშმარიტება სწორედ არჩევნების წინა დღესო (ტაში ცემა ცენტრში), და მხოლოდ მადლობის ღირსია ახალი მინისტრი, რომ გაბედა მართლის თქმაო".

რუვიე.—წინანდელი მინისტრიც ისე მოიქცეოდა, როგორც მე, და ამიტომ ორატორის ქებას ვერ მივიღებ. დეფიციტის მიზეზი რამდენიმეა. არც სხვა ქვეყნების მდგომარეობაა უკეთესი. პირველი მიზეზი არის გასავალის მომატება, რომელთა ინიციატორი მთავრობა კი არა, თვით პარლამენტია. გარდა ამისა უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვეულებრივად ახალი გარდასახადი უცებ ვერ მოიტანს მთელ შემოსავალს, რომლის შემოტანაც შეუძლია. კარგი ფინანსებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ საფრანგეთი იყოს ძლიერი (ტაშის ცემა). აქ მე უნდა მივმართო უკიდურეს მემარცხნეთ და ვუთხრა შემდეგი: თუ გინდათ, რომ საფრანგეთს კარგი ფინანსები ჰქონდეს, აუცილებლად საჭიროა, რომ საფრანგეთს პატივს სცემდენ საზღვარ-გარედ, რომ იგი უარს არ ჰყოფდეს თავის იმედებს და დამყარებული იყოს ძლიერ და მრავალრიცხოვან ჯარზე (ხანგრძლივი ტაშის ცემაა მარჯვნივ და ცენტრში).

ფირმენ ფორი (ნაციონალისტი).—ესეც თქვენ, ბ-ნო ჟორესო!

რუვიე.—არა, მე ვამბობ საზოგადოდ, და სახეში არა მყავს კერძო პირები (ცენტრში იცინიან). რასაც მე ვამბობ, მას არ შეუძლია უკმაყოფილება გამოიწვიოს კარგ რესპუბლიკელთა და ფრანგთა შორის (ტაშის ცემაა; უკიდურესი მემარცხენენი ყვირიან: „ეგ ღალატია: აბა შეხედეთ, ვინ გიკრავთ ტაშს!").

რუვიე.—მე არავისთვის არ მიღალატნია. მე დავრჩი იგივე, რაც ყოველთვის ვიყავი,—ერთგული მოსამსახურე დემოკრატიისა; მაგრამ მე მსურს ჩემი საფინანსო პოლიტიკა მხოლოდ რესპუბლიკელთა დახმარებით განვახორციელო. თუ ვერ მოვახერხე,—რა ვუყოთ! მე დავუბრუნდები უბრალო დეპუტატთა რაზმს, ე. ი. დავიჭერ იმავე ადგილს, რომელიც მე მეჭირა წინად, გუშინ, როდესაც წუთიერ ნდობას (სიცილი და ტაშის ცემა ცენტრში) ჯერ კიდევ არ მოვეწოდებინე სამმართველოდ (ახალი ტაშის ცემა ცენტრში). მე ვაცხადებ, რომ დეფიციტის გამო სიფრთხილით და გონიერებით უნდა მოვიქცეთ. ნაადრსა და ზედაპირა რეფორმებს არ შეუძლიათ სარგებლობის მოტანა. პალატამ უნდა ხელი აიღოს უგონოდ ფანტვაზე, უნდა იმოქმედოს მეთოდიურად და უპირველეს ყოვლისა არ უნდა ცდილობდეს ყველაფრის ერთბაშად გაკეთებას (ტაშის ცემაა).

ჟორესი.—არც ერთ პარტიას ნება არა აქვს გვარწმუნებდეს, რომ სხვა რომელიმე პარტია მსუბუქად ეკიდება საფრანგეთის გარეგან უზრუნველყოფას. მაგრამ, ჩემის აზრით, სახელმწიფოს უზრუნველყოფას სწორედ ისინი ავნებენ, ვინც ხალხს თვალწინ უხატავს გარეგან შიშს, რომ ამით მიაღწიოს სამხედრო ხარჯის გადაჭარბებულ მომატებას. თუ საფრანგეთს უნდა, რომ ძლიერი იყოს, უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა იყოს პროგრესიული. მთავრობა მოვალეა შეასრულოს აუცილებელი საფინანსო რეფორმები.

აქედან ცხადად ჩანს, რა შეცდომა მოუვიდა კომბს, რომ სამინისტროში რუვიე მოიწვია. რუვიემ მართალი თქვა: მას არ უღალატია თავის ძველი პოლიტიკის და მეგობარ ოპპორტუნისტთათვის. ხოლო უთანხმოება თვით სამინისტროში მეტად ცხადია. ასეთ განხეთქილებას არავინ მოელოდა და რეაქციონერები, რასაკვირველია, თავის სიხარულს ველარ მალვენ სამინისტროს მომავალი კრიზისის იმედით. ჟორესის გულწრფელმა სიტყვამ ალზას-ლორენის შესახებ დიდი ამბავი გამოიწვია პარლამენტში და პრესსაში. ორი წლის ვადიანი სამხედრო ბეგარის პროექტი, და სხვა მინისტრთა საზოგადო შეხედულება ამ საგანზე სრულიად ეწინააღმდეგება რუვიეს მიერ გამოთქმულ აზრს მილიტარიზმის შესახებ. რუვიე პირდაპირ უარჰყოფს სოციალისტების დახმარებას და მათთან ერთად მოქმედობას, მაშინ როდესაც საზოგადოთ რადიკალური სამინისტროს არსებობა თითქმის წარმოუდგენელია მემარცხენე ჯგუფთა დაუხმარებლად. არც ერთი წევრი დღევანდელი რადიკალური სამინისტროსი, რაც უნდა დიდი უმრავლესობა ჰყავდეს პალატაში, ასე არ მოექცეოდა სოციალისტთა პარტიას, რადგან თუ მათ შორის განხვავებაა, სამაგიეროთ საერთოც ბევრი აქვთ. რუვიე კი, როგორც მისი სიტყვიდან სჩანს, არაფრად აგდებს მათ ჯგუფს და ამით სამინისტროს მტრებს ძალას უმატებს.

კამილ პელტანის სიტყვა, რომელიც აქვე მოგვყავს, ცხადად გვიჩვენებს, რომ რუვიეს და მის ამხანაგთა შორის ძირითადი უთანხმოებაა.

ამომრჩევლებმა ბანკეტი გაუმართეს დამოუკიდებელ სოციალისტს შარლ ბოს არჩევანში გამარჯვების გამო. ბანკეტზე მოწვეული იყო სხვათა შორის საზღვაო მინისტრი პელტანი. ბანკეტი ასე აქვთ აღწერილი ფრანგულ გაზეთებს: შარლ ბომ დალია სადღეგრძელო პელტანისა, რომელიც, ორატორის სიტყვით, დემოკრატიის კანონიერ მისწრაფებათა და იმედების ცოცხალი გამოხატულებაა სამინისტროში. კლოვის იუგმა აღნიშნა ჩვეულებრივის მისწრაფებით, რომ „კამილ პელტანს, რომელიც ნაკლებადაა მიხვეული მინისტრად ყოფნას (პელტანი არასოდეს მინისტრად არ ყოფილა), დაავიწყებია შესაფერი გამომეტყველება მიელო.

—არ ვიცი, მივეჩვევი თუ არა მინისტრობასო, ჩაულაპარაკებია მინისტრს.

—ბოლოსო, დაუბოლოვებია კლოვის იუგს, ჩვენ ნამდვილ დემოკრატიაში შევდივართ. დიდის კმაყოფილებით აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ მოწვევის ბარათზე მინისტრს „მოქალაქე (citoyen) უწოდეს. ეს პირველად ხდება 1848 წლის რესპუბლიკის შემდეგ.

ბოლოს ილაპარაკა კამილ პელტანმა და გამოაცხადა, რომ მას სურს უჩვენოს რესპუბლიკელების უკანასკნელ გამარჯვების შედეგი და ის მოვალეობა, რომელიც აღევს ყოველ რესპუბლიკელს არჩევნების დროს გამოუმჟღავნებელი ნება ხალხისა.

„აუცილებლად საჭიროა განვაგრძოთ ბრძოლა კლერიკალურ და პლუტოკრატიულ რეაქციის წინააღმდეგ, რადგან არც ერთ გამარჯვებას არასოდეს არ მოუღია ბოლო იმ განუწყვეტელ ბრძოლისათვის, რომელიც არსებობს ძველ პრივილეგიასა და სამართლიანობას შორის. ის გრძნობიერი მოწოდება ერთობისადმი, რომელიც ეხლა გვესმის ჩვენ მოწინააღმდეგეთაგან, დაგვიანებულია ან ნაადრევი. ჩვენ არ დაგვიწყებია, რომ ჯერ კიდევ გუშინ იმედოვნებდნენ ჩვენს გაჭყლეტას, რომ ჯერ კიდევ გუშინ საფრანგეთის ყველა ეკკლესიები ზარების რეკით იწვევდნენ ხალხს ჩვენთან საბრძოლველად, იწვევდნენ მანდილოსნების ბატალიონებს შეეკრიბათ საუნჯენი გარყვნილებისა. ამ გვარ სამსახურს არ ვსთხოვთ ჩვენ რესპუბლიკელ ქალებს!

და ეხლა, როცა საქმე წააგეს, მტრები მოდიან ჩვენთან და გვეუბნებიან—გვეპატიებია თქვენთვის, შევრიგდეთო.

მე ვთქვი, რომ მოწოდება ერთობისადმი ნაადრევია-თქო. მართლაც, თუ საუბედუროდ ჩვენ მათ დავუახლოვდით, თუ ჩვენ ზურგს შევაქცევთ საყოველთაო არჩევანს, ხვალვე ისევ ეცდებიან ჩვენ გაჭყლეტას

მე სრულებითაც არ მხიბლავს ერთობა, რომელზედაც ეხლა გველაპარაკებიან, რადგან იგი იქნება ერთობა უსამართლობასთან და პრივილეგიებთან, ე. ი. ომის გამოცხადება დემოკრატიის ყველა კანონიერ მისწრაფებათა.

სისხლი მიდუღს, როცა მესმის ჩვენ მოწინააღმდეგეთაგან დევნაზე ლაპარაკი, თუნდ ისეთი, მაგალითად, როგორიც დღეს ისმის პირველ მინისტრის ცირკულიარის გამო პრეფექტებისადმი.

მდევნელებს გვიწოდებენ ჩვენ იმიტომ, რომ არ ვითმენთ გამარჯვებულ რესპუბლიკის დროშის ქვეშ რესპუბლიკელ მოხელეებს სამართლიანად არ ეპყრობოდნენ და აწვალებდნენ მათ.

ეს მხარე ჩვენის საქმის განგრძობილი იქნება. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი არ დაიძინებენ ჩვენში ბრძოლის სურვილის სამართლიან საქმისათვის. მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი საქმე თითქმის არაფერი იქნება, თუ იგი შეხამებული არ იქნება იმ დემოკრატიულ და სოციალურ რეფორმებთან, რომელიც ყველა რესპუბლიკელს, ზომიერსა და დაწინაურებულს, აზრში ჰქონდა ბრძოლის დროს. თუ ამას თავი დავანებეთ, ჩვენ ამით რესპუბლიკას არსებობის საბუთს წავართმევთ.

მე კარგად ვიცი, რომ ზოგიერთები ბორძიკობენ. ესენი გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვემორჩილებით კეთილშობილ, მაგრამ თან საშიშ აზრებს, მაშინ როდესაც საშიში იმ რეფორმების დაუსრულებელი გადადებაა, რომლებსაც ქვეყანა თხოულობს. ამას ამტკიცებს გასულ საუკუნის მთელი ისტორია. ქვეყანამ თუ ამდენი ამრევ-დამრევი რევოლიუციები განიცადა, ეს იმიტომ მოხდა, რომ მას არ ჰყავდა ისეთი მთავრობა, რომელიც კვალ-კვალ მიჰყოლოდა ძშვიდობიან ევოლიუციას. და ამის შემდეგ კიდევ გვეუბნებიან, რომ საშიშია იმ რეფორმების განხორციელება, რომელნიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, მეზობელ მონარქიებმა სისრულეში მოიყვანეს კიდეც.

ერთი უმჭევრმეტყველესი ჩემი ამხანაგთაგანი (რუვიე) სამართლიანად ამბობდა ამ რამდენიმე დღის წინად, რომ ჩვენ რევოლიუციის პატივისმცემელი შვილები ვართო. მაგრამ ჩვენს მამებს, რომ ეთქვათ—მოვიცადოთ, სანამ დეფიციტი არ გვექნება, სანამ საფრანგეთს გარედან მტრის შიში არ ექნებაო, დღეს საფრანგეთში ფეოდალური წესწყობილება გვექნებოდა.

აუცილებლად საჭიროა რეფორმების განხორციელება, ნამდვილ, რეალურ რეფორმებისა, რადგან ამისთანა საქმეში ისე არა არის რა საშიში, როგორც სინამდვილის მაგიერ ცალიერი ქაღალდი.

ბევრი კითხულობდა, გამოვდგები თუ არა მთავრობის კაცად. არიან მთავრობის კაცები, რომელნიც, გახდებიან თუ არა მთავრობის წევრად, დაპირებულის გადადებას დაიწყებენ; მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც განახორციელებენ იმას, რასაც ოპოზიციაში ყოფნის დროს თხოულობდნენ.

მე ამ უკანასკნელთა სკოლას ვეკუთვნი. ამიტომ მე შემიძლია დამტკიცებით გითხრათ, რომ არც მე, არც ჩემი მეგობრები არ დავივიწყებთ, რაც ქვეყანას შევპირდით.

თუ საფრანგეთმა გაუძლო მთელის საუკუნის ტანჯვა-ვაებას, ეს იმიტომ, რომ მას ჰქონდა იდეალი—რესპუბლიკა. თუ რესპუბლიკა გაკოტრდება, რაღა დარჩება? ხალხის გაბრაზება ან, რაც უარესია, სასოწარკვეთილება, სკეპტიციზმი, ზიზღი, რასაც შედეგად ის მოჰყვება, რომ თავმინებებული ხალხი ხელში უვარდება დიკტატურას მოწადინებულ პირველ ავანტიურისტს.

აი რა მოგველის, თუ შიშს ან უსაქმურობას მივეცემით. მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ, რომ მოვალეობას ბოლომდე შევასრულებთ. მე ვსვამ პროგრამის ერთ გულებისათვის—უამისოთ არ იქნება არც ძალა, არც სიდიადე და არც უზრუნველყოფა რესპუბლიკისათვის".

ახალი ამბავი

✦ დღეს, 26, ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში მოხდება **საჯარო ვაჭრობა** სოფლის იმ მამულების გასასყიდად, რომლებზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი, ხოლო პარასკევს, 28 ივნისს იმ მამულებისა, რომლებზედაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი.

✦ შაბათს, 22 ივნისს, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა **საჯარო ვაჭრობა** ტფილისის მამულებისა. გასასყიდი იყო 19 მამული. გაყიდულ 13 მამულის თავნი ვალი იყო 133,468 მან. 10 კაპ., შესატანი გარდასახადი 5,657 მან. 36 კაპ. ხოლო გაიყიდა ეს 13 მამული 151,616 მანეთად. დარჩენილ 6 მამულის საჯარო ვაჭრობა მოხდება 13 ივლისს. თავნი ვალი ამ მამულებისა 43,314 მან. 33 კაპეიკია.

✦ ორშაბათს, 24 ივნისს, ამავე ბანკში მოხდა საჯარო ვაჭრობა სხვა ქალაქების მამულებისა. გასასყიდი იყო 15 მამული და თხუთმეტივე გაიყიდა. თავნი ვალი ამ მამულებზე იყო 63,043 მან. 93 კაპ., შესატ. გარდასახადი 3,683 მან. 40 კაპ. გაიყიდა 105,732 მან. 25 კაპეიკად.

✦ საპატიმროთა უწყებას აზრადა აქვს ტფილისში დააარსოს **მუშათა სახლი.** სახლი ორთაჭალაში იქნება. როგორც გამოანგარიშებულია, სახლი რამდენსამე ათას მანეთად დაჯდება.

✦ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავარ-მართებლის წინაშე ბ-ნ მაევსკის პროექტის განხორციელების შესახებ. ეს პროექტი **მუღანის მინდვრის მორწყვას** შეეხება. საზოგადოების საბჭოს აზრით ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელია. ბ-ნ მაევსკის გამოანგარიშებით მინდვრის მოსარწყავად საჭიროა 25,000 მანეთი. ამავე მინდვრის მორწყვა, წყალთა ინსპექციის გამოანგარიშებით, დაჯდება 320,000 მანეთი.

✦ ნაძალადევისა და ჩუღურეთის **საკვირაო სკოლების** გამგემ მარიამ ი. დემურიამ გუშინ, 25 ივნისს, სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შემწეობა აღმოუჩინოს მომავალ სამოსწავლო წელს აღნიშნულ სკოლებს. ქ-ნი დემურია ამასთანავე უცხადებს გამგეობას, რომ ამ სკოლებში სწავლის მსურველი ბევრია, ამიტომ ეხლანდელი სადგომები უნდა გაფართოვდეს, ხოლო ამისათვის დიდი ფულია საჭირო.

✦ **ნაძალადევის სამკითხველოს** გამგემ ქ-ნმა დემურიამ გუშინ, 25 ივნისს, სთხოვა ქალაქის გამგეობას წარსულ წლებსავით წელსაც შემწეობა აღმოუჩინოს სამკითხველოს.

✦ **ვერის პირველ დაწყებით სკოლის** გამგემ წარსულ სამოსწავლო წლის ანგარიში წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, სკოლის შესანახად დახარჯულა 935 მან., სკოლაში წლის განმავლობაში ყოფილა 72 მოსწავლე, აქედან 65 ქართველი იყო.

✦ ყაზბეგიდან ინჟენერი სიპაილო ატყობინებს დეპეშით ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, რომ ყაზბეგის მახლობლად, სადაც გზაა წახდენილი, **დიდი უწესოებაა.** სადგურის მოხელენი უყურადღებოდ ეპყრობიან მგზავრებს და იქ, სადაც ეტლით შეიძლება გავლა, ქალებსაც-კი ფეხით ატარებენ თურმე. 10 ვერსს ატარებენ მგზავრებს ფეხით მაშინ, როდესაც შეიძლება 200 საჟენის გავლის შემდეგ მგზავრები ისევ ეტლში ჩასხან.

✦ პეტერბურგის უნივერსიტეტში ქალაქ ტფილისის ერთი **სტიპენდია განთავისუფლდა.** წინანდელმა სტიპენდიანტმა წელს გაათავა სწავლა.

✦ წარსულ სეზონში ტფილისის სახაზინო **თეატრს 63,000 მანეთის ზარალი ჰქონია.** ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მომავალ სეზონისთვის რა დასი მოიწვიონ.

✦ ჯურუყვეთიდან (ოზურგეთის მაზრა) გვწერენ: 22 ივნისს, ღამის 9 ს. 45 წ. **მოვიდა დიდი სეტყვა**, რომლის მსგავსი მცხოვრებთ არ ახსოვთ. სეტყვა კარგა მოზრდილ კაკლის ოდენა იყო. საბედნიეროდ, დიდხანს არ გასტანა. უსეტყვოდ ვერც ერთ წელიწადს ვერ გადარჩა ჩვენი სოფელი. შარშანდელმა სეტყვამაც დიდი ზარალი მიაყენა ჯურუყვეთის და ჩიბათის საზოგადოებებს.

◆ ქალაქის გამგეობის მთავარ ბუჰლალტერს შეუმუშავებია პროექტი გამგეობის **ბუჰლალტერიის შტატების რეორგანიზაციისა.** ამ პროექტით დღევანდელი შტატი შემცირდება. პროექტი საბჭოს წარედგინება განსახილველად.

◆ ტფილისში **სამუსიკო იარაღის** სავაჭრო ამხანაგობა არსდება. ამხანაგობის თითო პაი ეღირება 30 მანეთად. ძირის თანხად ამხანაგობას ექმნება 15 ათასი მანეთი.

◆ ტფილისის პირველ ქალთა საკვირაო სკოლის გამგემ ქ-ნმა ე. ე. ვორობიოვისამ გუშინ, 25 ივნისს, სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, მიეცეს საბჭოს მიერ სკოლის შესანახად გადადებული 300 მან. ამასთანავე ვორობიოვის ქალი სთხოვს გამგეობას წასულ წლებსავით გამგეობამ 300 მან. შემწეობა აღმოუჩინოს მისდამი რწმუნებულს საკვირაო სკოლას, ურომლისოდ იგი ვერ იცოცხლებს.

◆ გორის პირველ დასაწყის სკოლის გამგედ მომავალ 1903 სამოსწავლო წელს იქნება ქ-ბნი გერა დავითის ასული მიქაბერიძისა. ამ ამბავს ატყობინებს რა გამგეობა სკოლის ეხლანდელ გამგეს, სთხოვს სკოლისათვის გადადებული ფული მიქაბერიძისას გადაეცეს.

◆ რკინის გზის სასწავლებლის მოსწავლენი გუშინ დილით ავჭალაში წავიდნენ წყლის მიღის მანქანების დასათვალიერებლად.

◆ ს. ძეგვერიდან (გორის მაზრა) გვწერენ: 21 ივნისს, ღამის 10 საათზედ, ვიღაც ბოროტგამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს დ. ს. ზედგინიძის საბძელს. დაიწვა საბძელი, ორის ოთახის სახურავი, ბოსლის ავეჯი და დიდ-ძალი მარგილი, ვენახისათვის დამზადებული. როგორც მამასახლისმა და მწერალმა შეამოწმეს, ზარალი 1500 მანეთამდეა.

პრესსა

გუშინ ჩვენ მოვიხსენიეთ „პეტერბ. ვედომ“-ს აზრი სადგომის საკითხის შესახებ დიდ ქალაქებში. იმავე საგანს ეხება გაზეთი „იუჟნ. როსსია“ და ურჩევს ქალაქის თვითმართველობათ დაეხმარონ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, რომელნიც დიდ გაჭირვებაში არიან სადგომების სიძვირისა და უვარგისობისა გამო. შეიძლება, ამბობს გაზეთი, ვინმემ სთქვას: რათ ჰქირაობენ უვარგისსა და ძვირ სადგომს, ძალათი ხომ არავინ მიაქირავებსო. მაგრამ, სამართლიანად უპასუხებს გაზეთი, ამგვარადვე შეგვიძლია ვთქვათ ხორცზე, პურზე და სხვა სურსათზე: არც ამის ყიდვას აძალებენ მცხოვრებთ, მაგრამ ქალაქი მაინც ადევნებს თვალ-ყურს მათ ვაჭრობას.

ხალხის ჯანმრთელობის დასაცველად, განაგრძობს გაზეთი „იუჟნ. როსსია“, ქალაქის თვით-მართველობამ

> აკრძალა უვარგის სურსათ-სანოვაგის გაყიდვა. მართალია, ყოველს მცხოვრებს თავისუფლად შეუძლია არ იყიდოს უვარგისი სანოვაგე ან ტანთსაცმელი; მაგრამ ქალაქი მაინც აწესებს სავალდებულო დადგენილებათ და თვალ-ყურს ადევნებს სანოვაგე-ტანთსაცმელის ვაჭრობას, რათა დაიცვას ღარიბნი ექსპლოატაციისაგან და ავადმყოფობისაგან. კანონში პირ-და-პირ არის აღნიშნული, როგორც დანაშაული, ვაჭრებისაგან პირის შეკვრა ფასების მომატებისათვის. ქალაქიც სასტიკად თვალ-ყურს ადევნებს, რომ უვარგისი სანოვაგე არ ჰყიდონ ბაზარში. თუ ეს ასეა სანოვაგის შესახებ, რატომ ასეთივე წესი არ უნდა არსებობდეს ისეთვე საჭიროების შესახებ, როგორიც არის სადგომი?! რატომ არ უნდა გამოსცეს ქალაქმა სავალდებულო დადგენილებანი სადგომების აშენებისა და გაქირავების შესახებ?!

დღეს ღარიბი მცხოვრები **იძულებულია** დაიქირაოს სადგომი, რაც უნდა ანტიჰიგიენურ პირობებში იყოს იგი და რა ფასადაც არ უნდა გააქიროს სახლის პატრონმა. გაზეთი საჭიროდ სთვლის, რომ ქალაქის თვითმართველობათ მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და თავისის კანტროლის გავლენა გაავრცელონ სახლის პატრონებზედაც: გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი სადგომების ჰიგიენურად გაკეთებისა და იაფად გაქირავების შესახებო.

მოჰყავს ეს მოსაზრება „პეტერბ. ვედომ.“-ს და სამართლიანად დასძენს: სრულიად მართალია, რომ ქალაქის თვით-მართველობათა საქმეა დაიცვან ღარიბნი სახლის პატრონთა ექსპლოატაციისაგან; მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ახლანდელი თვით-მართველობა სწორედ სახლის პატრონებისაგან შესდგება და აბა როგორ დავითანხმოთ ისინი თავის წინააღმდეგ კანონები გამოსცენ?!. აქედანაც სჩანს, რამდენად საჭიროა ქალაქის თვითმართველობის გადემოკრატება; უამისოდ ღარიბ უმრავლესობის ინტერესი ყოველთვის დაჩაგრული იქნება.

სასამართლო

მცირე-წლოვან ქურდთა ბრბოს საქმე

1900 წლის 20 სექტემბერს, ღამე, ტფილ. საგუბერნიო ექიმის თანაშემწის რ. დ. მაჭავარიანის ეზოდან ვიღაც ქურდებს მოუპარავთ 50 მანეთად ღირებული ფარშავანგი. ქურდს ბაღში დარჩენოდა პერანგი. ფარშავანგის ძებნის დროს მაჭავარიანის ნათესავი შეჰხვედრია ერთ ყმაწვილს, თ:გ. ალექსანდრე გაჩნაძეს, რომლის დახმარებითაც ამ ქურდობის გამო პოლიციას დაუპატიმრებია ეხნიევის აგურხანაში მაიორის შვილი ს. კაზაკევიჩი, 12 წ., გრ. ი. პოლიანსკი, 17 წ. და ივანე ალ. გრეჩიშკინი, 17 წ. როცა დაპატიმრებულნი პოლიციაში მიუყვანიათ, გამოტეხილან, ამასთან უთქვამთ, რომ ეს ქურდობა ალექსანდრე გაჩნაძესთან ერთად ჩავიდინეთო. ისიც უთქვამთ, რომ ფარშავანგი 1 მ. 60 კაპ. მივყიდეთ ვაჭარს არუთინ ბარხუდაროვსო. ქურდობაში ყველანი გამოტეხილან, გარდა პოლიანსკისა. ბარხუდაროვს თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს, მართალია, ფარშავანგი ვიყიდე ბავშვებისაგან, მაგრამ არ ვიცოდი, თუ მოპარული იყოო.

ამავე წლის 20 სექტემბერს, ღამე, ბოროვმის ქუჩაზე მცხოვრებ სერგო ფირუმოვის ეზოდან ვიღაცეებს მოუპარავთ 2 ბატკანი. ამ ქურდობაში შემდეგ გამოტეხილან კაზაკევიჩი, ტიუფანოვი და სვისტუნოვი: ბატკნები ჩვენ მოვიპარეთ და მოედანზე არუთინ ბარხუდაროვს მივყიდეთ 1 მ. 20 კაპ.; ბატკნები მართლაც ბარხუდაროვს აღმოაჩნდა, მაგრამ იმან იგივე განაცხადა, რაც წინად.

1900 წელს 9 ნოემბერს მიხეილის ქუჩაზე შ. აპოიშვილის ფურნეში შესულა სამი ბავშვი პატრონის იქ არ ყოფნის დროს და დახლიდან 8 მანეთი წაუღიათ. აპოიშვილმა მოასწრო ქურდებს და ერთი მათგანი, მოქალაქის შვილი დიმიტრი ობლოკინი, იქვე დაიჭირა, სხვანი კი გაიქცნენ. ობლოკინს პოლიციაში უთქვამს, ჩემთან იყვნენ ვასია და ვანია, რომელთა გვარები არ ვიციო.

1901 წლის 25 იანვარს პოლიციის მოხელეს მაჭავარიანს ქურდობისთვის დაუპატიმრებია დ. ობლოკინი, რომელსაც უთქვამს, ვქურდობდი სხვებთან ერთად, ხოლო ხელმძღვანელობას გვიწევდა კარაპეტ ხაჩიკოვიო. ამ ხაჩიკოვთან იკრიბებოდნენ თურმე მცირე-წლოვანი ქურდები. მაჭავარიანს გაუჩხრეკია ხაჩიკოვი და იმის სახლში დაუპატიმრებია ბავშვები ივ. გრეჩიშკინი და ვლ. დუგოვოი.

1900 წლის 5 ნოემბერს, ღამე, მეწაღე ტ. ადაბეკოვის დუქნიდან მოუპარავთ 19 მან. 70 კაპეიკის ნივთები. დაპატიმრებულ იქმნენ გრეჩიშკინი და ობლოკინი, რომელნიც გამოტეხილან.

1901 წლის 2 თებერვალს ლუიზა მადერის ქარხნიდან მოუპარავთ რამდენიმე ნივთი. პოლიციას დაუჭერია პ. დ. ბასისტოვი, 15 წ. გამოტეხილა და უთქვამს, ნივთები მოიპარეს ჩემმა ამხანაგებმა თავ. ალექ. გაჩნაძემ, ნ. თ. სამსონოვმა და მოპარული ნივთები 90 კაპ. მივყიდეთ თათარს ქიარიმ-ფატალი-ოღლისაო. გამოძიების დროს ალექსანდრე გაჩნაძე სადღაც დამალულა.

1901 წლის 12 და 13 იანვარს დიდის მთავრის ქუჩაზე მცხოვრებ ანტონ იოდკოს სახლის კარებიდან ვიღაცას აუცლია სპილენძის ფიცარი, რომელზედაც მისი გვარი ეწერა. პოლიციის მოხელეს მაჭავარიანს ამ ქურდობაში გამოსტეხია პეტრე ბასისტოვი, რომელსაც უთქვამს, ფიცარი მე მოვიპარე და ვაჭარს საკ ალიხანოვს მივყიდე 7 კაპეიკადაო.

1900 წლის 13 დეკემბერს სანქინერთ ქუჩაზე მცხოვრებ გენ.-ლეიტ. რუტკოვსკის დაკეტილ სახლიდან მოიპარეს ქურდებმა 24 ინდოური. 28 იანვარს 1901 წელს სხვა ქურდობისათვის დაპატიმრებულნი გლ. დუგოვოი, დ. ობლოკინი და ი. გრეჩიშკინი გამოტეხილან და უთქვამთ, ინდოურები ჩვენ მოვიპარეთ და ვიღაც უცნობ კაცს მივყიდეთო.

1900 წლის 23 დეკემბერს, ღამე, ტურგენიევის ქუჩაზე მცხოვრებ თეკლე დაფქიაშვილის სარდაფში გაუტეხია ქურდს და მოუპარავს ქვაბი. ეს ქვაბიც, როგორც სხვა ქურდობის დროს აღმოჩნდა, მოუპარავთ ივ. გრეჩიშკინს, დუგოვოის და დ. ობლოკინს.

1900 წლის 23 დეკემბერს ავჭალის ქუჩაზე დ. ოჭკანეზოვს მოჰპარეს 4 ფუთი ნავთი და სხვა ნივთები. ნივთები და ნავთი მოუპარავს გრეჩიშკინს.

1900 წლის დეკემბერს ალექსანდრეს ბაღში ასრატოვის ბუფეტიდან მოიპარეს ქურდებმა 50 მანეთის პაპიროსი და სხვა ნივთები.

ქურდობა ჩაუდენიათ, როგორც შემდეგ გამოტყდნენ, გრეჩიშკინს, ობლოკინს, დუგოვოს და თ. ჟოლკოვსკი.

1900 წლის დეკემბერს არტილერიის ქუჩაზე ე. რეეპკო-დასკას სახლიდან პალტო მოიპარეს გრეჩიშკინმა, ობლოკინმა, დუგოვოიმ და ჟოლკოვსკიმ.

გამოძიების დროს ზოგს დამნაშავედ უცვნია თავი, ზოგს არა. სხვათა შორის კაზაკევიჩს უთქვამს, რომ ჩვენ, ბავშვებმა, საქურდლად ამხანაგობა შევადგინეთ, ღამეს ხშირათ ვათევდით კარაპეტ ხაჩიკოვთან, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ქურდები ვიყავით, ქურდობით შეძენილ ფულსაც იმას ვაძლევდით შესანახადაო. თითქმის ყველა ბავშვს უთქვამს, რომ ხაჩიკოვმა კარგად იცოდა ჩვენი ქურდობაო. ობლოკინს ისიც უთქვამს, რომ ხაჩიკოვმა არამც-თუ იცოდა ბავშვები რასაც სჩადიოდნენ, არამედ ხელმძღვანელობასაც უწევდა მათ და უჩვენებდა კიდეც, სად შეიძლებოდა სახლის გატეხა და იქიდან ნივთების მოპარვა. მოპარულს ნივთებს ხაჩიკოვი ჰყიდდა ჩუმადაო.

ზემოდ ჩამოთვლილ გარემოებათა გამო სასამართლოში მიცემულ იქმნენ: მაიორის შვილი ს. თ. კაზაკევიჩი, 13 წ., გ. ი. პოლიანსკი, 17 წ., ი. ა. გრეჩიშკინი, 17 წ., ევ. დ. სვისტუნოვი, 17 წ., მ. კ. ტიუფანოვი, 16 წ. ჯ. პ. ბენიამინოვი, 16 წლისა, დ. ნ. ობლოკინი, 16 წლ., თ. ე. ჟოლკოვსკი, 19 წ., პ. დ. ბასისტოვი, 15 წლ. ნ. თ. სამსონოვი, 14 წ., გლ. ა. დუგოვოი, 16 წლ., ს. ი. ჩუმაჩენკო, 14 წლ., კარაპეტ სარქისასძე ხაჩიკოვი, 26 წ., არუთინ ა. ბარხუდაროვი 30 წ. და ქიარიმ-ფატალი-ოღლი 35 წლისა. პირველ 12-ს ჰბრალდებათ ქურდთა ბრბოს შედგენა და ქურდობა, ხაჩიკოვს—ხელმძღვანელობა, ხოლო უკანასკნელთ—ნაქურდალ ნივთების შეძენა.

24 ივნისს, ოლქის სასამართლომ 30 მოწმეს ჩამოართვა ჩვენება. ბრალდებულთ 15 ვექილი იცავდა. თავიანთს სიტყვებში ვექილებმა აღნიშნეს ის გარემოება, რომ ამ საქმეში ქურდთა ბრბოს შედგენას ადგილი არ აქვს და წვრილმანი ქურდობებია მხოლოდ ჩადენილიო. დასასრულ ბავშვების მშობლებს ჰკითხეს თავიანთ შვილების ზნე-ყოფაქცევის შესახებ.

საქმის გამოძიება 24 ივნისს დამთავრდა ნაშუადღევის 6 საათზედ და განაჩენის გამოცხადება გადაიდვა 25 ივნისისათვის.

სასამართლომ გუშინ სამი საათის თათბირის შემდეგ გამოაცხადა თვისი განაჩენი, ამ განაჩენის ძალით დაპატიმრებულნი ბრბოს შედგენაში დამნაშავედ არ იქმნენ ცნობილნი. დამნაშავედ სცნო სასამართლომ 12 ყმაწვილი სხვა-და-სხვა დროს ქურდობის ჩადენისათვის და გადაუწყვიტა მათ საპყრობილეში დაპატიმრება: თ. ჟოლკოვსკის ერთის წლითა და 6 თვით, ი. გრეჩიშკინსა და დ. ობლოკინს, პოლიანსკის და ე. სვისტუნოვს სამ სამი თვით; ხოლო ს. კაზაკევიჩს, მ. ტიუფანოვს პ. ბასისტოვს, ნ. სამსონოვს, გ. დუგოვოის და ს. ჩუმაჩენკოს სასამართლომ მიუსაჯა კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენში მოთავსება, ხოლო თუ ახალშენში ადგილი არ აღმოჩნდა, საპყრობილეში დაპატიმრებულ იქმნებიან: კაზაკევიჩი, ტიუფანოვი და ბასისტოვი სამის თვით, საპყრობილეში იქმნებიან დაპატიმრებული, სამსონოვი $1^{1}/_{2}$ თვით და დუგოვოი 6 თვით; (ჩუმაჩენკო ამ ჟამად მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენშია მოთავსებული სხვა დანაშაულობისათვის), კარაპეტ ხაჩიკოვს, არუთინ ბარხუდაროვს და ქიარიმ-ფატალი-ოღლის მოპარულ ნივთების შეძენისა და შენახვისათვის სასამართლომ გადაუწყვიტა თითო თვით საპყრობილეში დაპატიმრება. ჯ. ბენიამინოვი სასამართლომ გაამართლა.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ნება გვიბოძეთ, ბ-ნო რედაქტორო, ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ნიგოითის საზოგადოების გლეხკაცობას, რომელმაც განაჩენით დაადგინა ნიგოითის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ ყოველ წლივ კომლმა ორ-ორი შაური იხადოს. ამ დადგენილების წყალობით ყოველ წლივ სამკითხველოს შემატება 45 მ. 50 კაპ., მადლობას ვსწირავთ აგრეთვე საპატიო წერებს ძმებს დ. და ტ. ართმელაძეებს, რომელთაც შემოსწირეს სამკითხველოს 25 მან., და საპატიო წევრს ბ-ნ ნესტორ ფილიას აგრეთვე 25 მანეთის შემოწირვისათვის. იმედია, გლეხების მაგალითს თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდებაც მიჰბაძავს და შემწეობას აღმოუჩენს სამკითხველოს.

გამგე ნიგოითის უფასო სამკითხველოსი კონსტანტინე კალანდარიშვილი.

წესდება

მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობისა

(უმაღლესად დამტკიცდა 1902 წ. 3 ივნისს)

I. საზოგადო დებულება.

1) პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობათა მიღება, ამ წესდების თანახმად, შეუძლიანთ სამსახურიდან წასვლის დროს შტატის მღვდელ-მსახურთ და მედავითნეთ, მათ სიკვდილის შემდეგ კი—მათ ქვრივებსა და ობლებს.

2) არც ერთ მღვდელ-მსახურს და მედავითნეს, თუ შტატის სამსახურში არიან, თუნდაც არა საეპარქიო უწყებაში, არ შეუძლიანთ მიიღონ პენსია, რომელიც დაწესებულია საეპარქიო სამსახურისათვის, გარდა იმ პენსიებისა, რომელსაც მღვდელ-მსახურნი იღებენ შორეულს ადგილებში სამსახურისათვის განსაკუთრებულ წესების თანახმად.

3) ის მღვდელ-მსახურნი და მედავითნენი, რომელნიც ამ წესდებით შემოღებულ პენსიის გარდა სხვა პენსიასაც დაიმსახურებენ, მიიღებენ იმას, რომელსაც უფრო სასარგებლოდ სცნობენ თავიანთთვის. ამ წესს არ ემორჩილება პენსიები, შორეულ ადგილებში სამსახურისათვის დაწესებული (მუხ. 2), რომელიც შეიძლება დაენიშნოს, ამ პენსიის მიუხედავად, შტატ-გარეშე მყოფ მღვდელ-მსახურთ.

4) პენსიის მიღება არც თავისთვის და არც ოჯახისათვის არ შეუძლიანთ იმ მღვდელ-მსახურს, რომელსაც ღირსებას ხდიან, და მედავითნეს, რომელსაც სამსახურიდან და სასულიერო წოდებიდან დაითხოვენ.

5) მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა ქვრივობლებს პენსიის მიღება შეუძლიანთ იმ შემთხვევაში, თუ იმათი ქმარი ან მამა: 1) გარდაიცვალა სამსახურის დროს ამ წესდების ძალით დადებულ ვადის შესრულებისა და პენსიაზე უფლების მოპოვების შემდეგ და 2) სამსახურიდან გასული იყო და პენსიას იღებდა, ან ჰქონდა იმის მიღების უფლება.

6) პენსიისა და ერთ-დროულ შემწეობის მიღების უფლება აქვთ მღვდელ-მსახურთა და მედავითნეების შვილებს, იმათაც, რომელნიც მამების შტატს გარეშე მყოფობის დროს დაიბადებიან. ამ უფლებას მოკლებულნი არიან: 1) ისინი, რომელთაც 21 წ. შეუსრულდათ, 2) ვაჟები, რომელნიც სამსახურში შევიდნენ ან სახელმწიფო ხარჯით სასწავლებელში სწავლობენ; და 3) გათხოვილი და ის ქალები, რომელნიც სახელმწიფო ხარჯით სასწავლებელში სწავლობენ.

7) სიკვდილამდე პენსია დაენიშნება მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა იმ შვილებს, რომელნიც თუმცა მშობლების სიკვდილის დროს სრულ წლოვანნი იყვნენ, მაგრამ სიღარიბეში ჩაცვივდნენ და განუკურნებელ სენით არიან შეპყრობილნი, ან შემდეგში ისე დასავდნენ, რომ ვეღარ ახერხებენ მთავრობის დაუხმარებლად საკუთარის შრომით საზრდოს მოპოვებას.

8) ყოველივე ის, რაც ამ წესდებით წინ-დახედული არ არის, გადაწყდება ამ წესდების დადგენილებათა იმ საზოგადო წესდებასთან შეთანხმებით, რომელიც პენსიებს შეეხება (კანონთა კრ. ტ. III გამ. 1896 წ.).

II ვადა პენსიების დამსახურებისა.

9) ის მღვდელ-მსახურნი და მედავითნენი, რომელნიც 20 დან 30 წლამდე იმსახურებენ, სამსახურიდან წასვლის დროს მიიღებენ პენსიის ერთ მესამედს, რომელნიც 30-დან 35 წლამდე—პენსიის ორ მესამედს, ხოლო რომელნიც 30 წელსა და მეტს—სრულ პენსიას.

10) ისინი, ვისაც ოც, ოც და-ათ და ოც-დათხუთმეტ წლის შესრულებისათვის ექვსი თვე დააკლდება, მიიღებენ იმ პენსიას, რომელიც ამ ვადებისათვის არის დანიშნული.

11) ისინი, ვინც შტატიდან გადიან სამსახურის დროს ჯანის დაკარგვისა და განუკურნებელ ავადმყოფობის გამო, მიიღებენ პენსიად: 10-დან 30 წლამდე სამსახურისათვის პენსიის ერთ მესამედს. 20-დან 30 წლამდე—ორ მესამედს და 30 წლის სამსახურისათვის—სრულ პენსიას.

12) ის მღვდელ-მსახურნი და მედავითნენი, რომელნიც ისე ძლიერ არიან დასნეულებულნი, რომ არამც თუ სამსახური არ შეუძლიანთ, არამედ სხვათა მოვლასაც საჭიროებენ, მიიღებენ პენსიად: 5 დან 10 წლამდე სამსახურისათვის—პენსიის ერთ მესამედს, 10-დან 20 წლამდე—ორ მესამედს და 20 წლის სამსახურისათვის—სრულ პენსიას.

შენიშვნა: მე-10 მუხლში აღნიშნული ლგოტა არ ეხება იმათ, რომელნიც მე-11 და მე-12 მუხლის ძალით პენსიას თხოულობენ.

13) ნამდვილ სამსახურად და საპენსიო ვადად მედავითნეს ჩაეთვლება დრო 17 წლიდან დაწყებული.

14) ყოველგვარი სამსახური: სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო-სამოსწავლო, თუ იგი ხაზინიდან პენსიის მიღების უფლებას იძლევა, საეპარქიო სამსახურში გადასვლის დროს ჩაეთვლება იმ ვადაში, რომელიც ამ წესდებით საჭიროა პენსიის მისაღებად; ამასთან თუ წინანდელ სამსახურში პენსიის ვადად 30 წელიწადია, ერთის წლის ნამსახურობა ერთ წლადვე ჩაეთვლება, ხოლო თუ ნაკლებია, ამ ნაკლებ ვადის მიხედვით.

15) საეპარქიო სამსახური ითვლება სხვა უწყებაში გადასვლისა და იქ პენსიის მიღების დროს. ამასთან თუ სხვა უწყებაში პენსიის მისაღებ ვადად 30 წელიწადია, საეპარქიო უწყებაში ერთის წლის ნამსახურობა ერთ წლადვე ჩაეთვლება, თუ ნაკლები—ამ ვადის მიხედვით.

16) იმ ნამდვილ სამსახურის დროდან, რომელიც პენსიის მიღების უფლებას იძლევა, უნდა გამოირიცხოს: ა) ის დრო, რომელიც სამსახურს და შტატ გარეთ, ან უვადოდ გაატარა, ბ) ის დრო, რომელიც დასასვენებელ ვადას (ОТПУСКЪ) გადასცდა. ასეთ ვადად, რომლის დროსაც ჯამაგირი ეძლევათ, არის ზოგან ოთხი და ზოგან ექვსი თვე. ანგარიში ამის მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; და გ) ის დრო, რომელიც მღვდელ-მსახურმა ან მედავითნემ სამართლის წინაშე პასუხის გებას მოანდომა, როგორც ეს საზოგადო საპენსიო წესდებაშია აღნიშნული.

(გაგრძელება იქნება)

უცხოეთის წვრილი ამბები

სერჟანტი ჰოფი. ახლახან პარიზში გარდაიცვალა სერჟანტი ჰოფი, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა ხალხში. ქალაქმა დიდებულად დამარხა ის თავის ხარჯით.

სერჟანტმა ჰოფმა სახელი გაითქვა, როდესაც პრუსიელებმა პირველად ალყა შემოარტყეს პარიზს. პარიზელებმა ამ სალდათის ვაჟკაცობა შეიტყეს შემდეგის „ბრძანებიდან“ 9 ნოემბერს 1870 წელს:

„ეგნატე ჰოფი, რომელსაც თან ერთი ჯარის კაცი ჰყავნდა გვარდიისა, ოც ნაბიჯზე მიუახლოვდა პრუსიის მორიგ დარაჯს და მოჰკლა იგი, მოჰკლა აგრეთვე იმისი ამხანაგიც. ჰოფმა უკვე ოცდა-ათი პრუსიელი მოჰკლა და მიიღო საპატიო ლეგიონის ჯვარი ვაჟკაცობისათვის“.

რამდენისამე დღის შემდეგ, როდესაც ეს ბრძანება გამოვიდა, ჰოფი ტყვედ წაიყვანეს თავგანწირულის ბრძოლის შემდეგ, როდესაც იმის რაზმში თითქმის ყველანი ამოწყვიტეს.

ჰოფმა კარგა იცოდა, რომ თავის ვაჟკაცობით დიდი სახელი მოიპოვა პარიზელთა შორის, მაგრამ ისიც იცოდა, რომ დიდი სიძულვილი დაიმსახურა გერმანელთა ბანაკში.

პრუსიელებს ისე სძულდათ ეს ჩინებული ჯარის კაცი ფრანგებისა, რომ დიდ ფულს ჰპირდებოდნენ იმას, ვინც ჰოფს მოჰკლავდა.

ჰოფს ძალიან კარგა ესმოდა, რომ, პრუსიელებს რომ შეეტყოთ იმისი ვინაობა, ის დაღუპული იყო. ამ აზრმა გაუელვა ჰოფს თავში. რამდენისამე წუთას წინად, ვიდრე ტყვედ წაიყვანდენ, გულიდან ჯვარი მოიგლიჯა, სერჟანტის ოქრომკედის ჩაფარიში აირღვია სახელოებზე, შინელი გადააგდო და, როდესაც გერმანელებმა ვინაობის გამოკითხვა დაუწყეს ტყვეებს, იმან თავი დაისახელა ჯარის კაც ვოლფად ნუარმუტიედან, რომელიც მართლა იმის სამშობლო იყო, და ამ მოგონილის სახელით ის სხვებთან ერთად გერმანიაში გაგზავნეს.

მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარის სიფრთხილისა ჰოფის მხრივ, პრუსიელებს შეეტყოთ, რომ ტყვეთა შორის ცნობილი სერჟანტი ჰოფიც არის, პრუსიელების ამომწყვეტი.

პრუსიის ოფიცრები არა ერთხელ ჰკითხავდენ იმას:

ეგნატე ჰოფი შენ არ ხარ?

ის ყოველთვის ერთს უპასუხებდა:

— ჰოფი? ეგნატე ჰოფი? მე ძალიან კარგა ვიცნობ ეგნატე ჰოფსა; მე ვნახე ჩემის თვალით, როდესაც ის საბრალო მოჰკლეს. ჩემი გვარი ვოლფია, ჯარის კაცი ვოლფი.

— საიდანა ხარ?

— მეც ნუარმუტიედან ვარ, როგორც ჰოფი; ერთი სოფლისანი ვართ.

ჰოფი ციხეში ჩასვეს. ის იქ ოცდაათი დღე იჯდა. ამ დროს ბევრჯელ დაუგეს იმას მახე, რომ გაებათ, ხშირად უცბად დაუძახებდენ ნამდვილ სახელს:

— ჰოფ! ეი, შენ ჰოფ!

მაგრამ ის არ ინძრეოდა.

მაშინ გერმანელმა მთავრობამ მისწერა ნუარმუტიეში, რომ ეცნობებინათ, მართლა იქიდან არიან სერჟანტი ჰოფი და ჯარის კაცი ვოლფი.

აქ რაღაც სასწაული მოხდა. ჰოფის მშობლებს, ალზასელ ღარიბ გლეხებს, თითქო განგებამ შთააგონა, რომ იმათი შვილი განსაცდელშია: იმათი ბევრი ცდისა და შუამდგომლობის წყალობით გერმანიის უმთავრესს შტაბს აცნობეს, რომ ჯარის კაცი ვოლფი იქაურია.

ამ გვარად გამოძიება დასრულდა და პრუსიის სამხედრო მთავრობამ ირწმუნა, რომ ეს მართლა ჯარის კაცი ვოლფია.

მას შემდეგ ჯარის კაცს ვოლფს აღარავინ არ აწუხებდა, და ამავე სახელით სერჟანტი ჰოფი, როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა, საფრანგეთში დაბრუნდა 10 მარტს 1871 წელს.

* *

მენელიკის საჩუქარი. ნეგუს მენელიკის წარმომადგენელმა, რომელიც ინგლისის მეფის ედუარდ მეშვიდის გვირგვინის კურთხევაზე უნდა დაესწროს, თავის მეფისაგან მეფე ედუარდს საჩუქრად, მრავალ უძვირფასეს ნივთთა შორის, მოუყვანა ორი გარეული ცხენი და ხუთი ლომი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივნისი

პეტერბურგი. „ფინანსთა ვესტნიკში“ დაბეჭდილია ნოტა, რომლითაც ფინანსთა სამინისტრომ, გარეშე საქმეთა სამინისტროს დახმარებით, მიჰმართა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც 5 მარტს 1902 წელს ბრიუსელში შაქრის მრეწველობის შესახებ კონვენცია შეჰკრეს და რომელშიაც რუსეთის მთავრობას მონაწილეობა არ მიუღია.

ტვერი. დღეს საკრებულო ტაძარში წმინდის დიდის მთავრის მიხეილ ტვერელის ნაწილები ახალს ვერცხლის ლუსკუმში ჩაასვენეს; ეს ლუსკუმი გაკეთებულია შემომწირველთა ფულით, რომელთა სათავეში ითვლება ხელმწიფე მემკვიდრე.

პორტ-არტური. ინკოუში ხოლერა ვრცელდება. მარიაში ბევრი იხოცება. ჩინელთა შორისაც აღმოჩნდა ავადმყოფობა. ავადმყოფობის გაჩენიდან ინკოუში ავად გახდა 396, მოკვდა 334. ინკოუს რუსის სოფელში ავად გახდა 172, მოკვდა 88.

ვარშავა. „ვარშავის დნევნიკის“ სიტყვით, ვარშავაში მოელიან იაპონიელ ვაჭრებს, რომ დაიწყონ სავაჭრო საქმეები ამ მხარესთან.

კავკავი. სამხედრო მინისტრის განკარგულება მოვიდა, რომ დაწესდეს ადგილობრივი საოლქო კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა განსახილველად.

ადესსა. დღეს მოვიდა გემით აბისინიის საელჩო და რკინის გზით პეტერბურგს წავიდა.

სევასტოპოლი. ნახიმოვის საფლავზე წირვა გადაიხადეს. ნახიმოვის ძეგლთან პარადი გაიმართა.

კურსკი. გაიხსნა ერობის მიერ გამართული სახალხო განათლების პირველი გამოფენა.

ლონდონი. მეფის ჯანმრთელობა ყოველის მხრით უკეთესდება.

პარიზი. აქაური გაზეთები უარს-ჰყოფენ იმ ხმას, ვითომ რუსეთმა და ბულგარიამ სამხედრო კონვენცია დაადგინეს.

ვილიერ-კოტრე. აქ, ალექსანდრე დიუმას უფროსის სამშობლოში, დღესასწაული გადაიხადეს იმის დაბადების ასის წლის შესრულების გამო.

სტოკჰოლმი. მეფემ დაამტკიცა სამინისტროს მოხელეთა შეცვლის სია.

ხაბაროვსკი. 21 ივნისს, ღამით, გირინში კარგა ღონივრად იძრა მიწა.

კავკავი. კავკავის მოგზაურობათა საზოგადოებამ დაადგინა გამართოს თავშესაფარები ყაზბეგის და „სტოლოვოის“ მთის მწვერვალებზე ასასვლელს გზაზე.

ვარშავა. ვაჭრებმა დაადგინეს ტამაშევში დაარსონ შვიდ-კლასიანი საკომერციო სასწავლებელი 1901 წლის 7 ოქტომბერს მათ უდიდებულესობათა ამ ქალაქში მობრძანების აღსანიშნავად.

პორტ-არტური. სასტიკი ზომებია მიღებული, რომ პორტ-არტურში ხოლერა არ შემოუშვან. რათა შეჯგუფებულნი არ იყვნენ ერთ ადგილს ევროპიელნი და ჩინელნი, ეს უკანასკნელნი გადაასახლეს ახალ აშენებულ ჩინელების ქალაქში. ძველი ბაზარი დასწვეს და ახალი გააკეთეს. ახალ ევროპიულ ქალაქის აშენების საქმე თან-და-თან წინ მიდის. ჩინელი მუშა 55,000-ია.

მელბურნი. ავსტრალიის საფედერაციო მთავრობამ გადასწყვიტა არ მიუდგეს ბრიუსელის კონვენციას შაქრის მრეწველობის საქმეში.

ლონდონი. მეფეს 9 საათი ეძინა. მდგომარეობა განუწყვეტლივ უკეთესდება.

ტრავემიუნდე. იმპერატორი სამოგზაუროდ ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა.

ბერლინი. „ფრანგული გაზეთის“ ცნობებით ამ მოკლე ხანში უსკიუბში, ალბანიაში, დაარსდება გერმანელთა საელჩო.

პარიზი. სავიმნასტიკო ვარჯიშობის დროს ვენსენთან სამხედრო მინისტრმა ნაციონალისტის რიშარის საპასუხოდ სთქვა: „თქვენ ლაპარაკობდით ყველა ფრანგების გაერთიანებაზე; ჩვენ თითონა გვსურს, შევურიგდეთ ყველა კეთილსვინდისერ ხალხს. მხოლოდ იმათთან შერიგებას, რომელთაც არჩევნების დროს ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს უცხო გავლენათა სამინისტრო უწოდეს, ჩვენ არა ვფიქრობთ“.

აჯიკენტი. მდინარე ქოჩქარზე ჩასაფრებულმა ყაჩაღებმა მოჰკლეს პოლიციის ურიადნიკი და ორი დარაჯი. დარაჯებს მოუკლავთ ორი ავაზაკი. აღმოაჩინეს, რომ აღასინელებს ჰყოლიათ ავაზაკები შეფარებული.

მოსკოვი. დღეს ბრონნის ქუჩაზე საძირკველი ჩაჰყარეს სტუდენტთა სასადილოს შენობისა, რომელიც შენდება 1,000 კაცისათვის.—გაიხსნა მეორე აუდიტორია საზოგადო-განათლების კურსებისა მუშებისთვის.

ხარკოვი. დღეს პირველი კრება მოხდა ქვანახშირის და რკინით ვაჭრობის ბირჟის წევრთა.

25 ივნისი

ჰელსინგფორსი. ჩრდილოელთა ნატურალისტების და ექიმების სხდომა გახსნა თავმჯდომარემ ლინდელევმა.

აჯიკენტი. მაისში და ივნისში მოსულმა სეტყვამ გაანადგურა ნათესობა, ბოსტნები და ბაღები ყაზახის მაზრის 23 სოფელში.

ლონდონი. დღეს, როდესაც ჩემბერლენი ორ თვლიან ეტლით მიდიოდა ვესტმინსტერიდან „ათენეუმეს“ კლუბში, ცხენი წაიქცა, თითონ ჩემბერლენი გადმოხტა ეტლიდან და შუბლი გაიტეხა. ჩემბერლენი საავადმყოფოში წაიყვანეს და შეუხვიეს ჭრილობა.

ლონდონი. დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ ჩემბერლენის ჭრილობას. უეჭველია, საავადმყოფოში ერთი დღე დაჰყოფს.

ლონდონი. დაბეჯითებით ამბობენ, რომ დაგვირგვინება იქმნება 11 და 15 აგვისტოს (29 ივლისს—2 აგვისტ.).

ხარბინი. რადგან ხარბინში ჩინელები ხოლერით ხდებიან ავად, დაწესებულია აღმასრულებელი სასანიტარო კომისიები და შემოღებულია მგზავრთა დათვალიერება.

კრონშტადტი. გუშინ იდღესასწაულეს ასის წლის შესრულება ადმირალ ნახიმოვის დაბადების დღისა.

ლიბავა. გუშინ, ნახიმოვის დაბადების დღის დღესასწაულისა გამო, ზღვაოსანთა საკრებულოში წაიკითხეს ცნობები ნახიმოვის შესახებ. გემები და იმათში საფრანგეთის გემი „დიუგე ტრუენ“ ბაირაღებით იყო შემკული.

პარიზი. გუშინ რუსეთის ელჩმა ურუსოვმა გაუმართა ბულგარიის მთავარს საუზმე.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი ყაზბეგი დაინიშნა ვარშავის კომენდანტად; გენერალ-მაიორი გუსაკოვი—ივანგოროდის სიმაგრის კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებლად.

„პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს პროექტი 1902—1904 წ. წ. ხარჯთ-აღრიცხვისა და დამატებითი ხარჯის განაწილებისა ლიფლიანდიის და ესტლანდიის გუბერნიებში.—მათი უდიდებულესობის კანცელიარიის მმართველად დაინიშნა დეისტ. სტატსკი სოვეტნიკი პოლოზოვი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 21 ივნისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში . . .	94,10
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,70
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . .	99 მყიდვ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. .	$100^1/_4$ გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$464^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$354^1/_2$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	287 მყიდვ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$82^1/_4$ გაყიდ.
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89^5/_8$ „
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	176 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37.50 ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ტფილისიდან გასვლის გამო ვყიდი ჩუღურეთში

იაფად

სახლს

მსურველს ვსთხოვთ მიჰმართონ „ცნობის ფურცლის“ კანტორაში, შუადღის 12 საათიდან ვიდრე 3 საათამდის. (10—4)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—24)

Дозв. ценз. Тифлисъ, 25 Іюня, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).